პროლეტარეტებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

KOMUNISTI

ORGAN TSK KP GRUZII, VERKHOVNOGO SOVETA GRUZINSKOI SSR I SOVETA MINISTROV GRUZINSKOI SSR

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

1975 ხუთშაბათი 3 ივლისი № 155 (16281) ფასი 2 კაპ. 1975

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

გუშინ თავი ისახელეს

ბურეულის მკაფი

გოლნისის რაიონის სარჩლოს კოლმეურნეობის მექანიზატორმა ი. ალიევმა ერთ დღეს 12 ჰექტარზე მომკა ქერის მოსავალი და საშუალოდ ჰექტარზე გალეწა 20 ცენტნერი მარცვალი, ხოლო მექანიზატორებმა ი. ბაირამოვმა, ო. ისაევმა მოსავალი აიღეს ათ-ათ ჰექტარზე და საშუალოდ ჰექტარზე გალეწეს 20 ცენტნერი მარცვალი.

საგარეჯოს რაიონის ნინოწმინდის კოლმეურნეობის კომბაინერმა ტ. ივანიშვილმა ერთ დღეს 14 ჰექტარზე აიღო ქერის მოსავალი და საშუალოდ ჰექტარზე გალეწა 30 ცენტნერი მარცვლეული, კომბაინერმა შ. გაგნიაშვილმა მოსავალი აიღო 16 ჰექტარზე და საშუალოდ ჰექტარზე გალეწა 40 ცენტნერი მარცვალი.

ჩაის კრეფაში

ჩხოროწყუს რაიონის კირცხის XX ყრილობის სახელობის კოლმეურნეობის წევრმა თინა ადონიამ ერთ დღეს მოკრიფა 121 კილოგრამი ჩაის ფოთოლი ნაცვლად 25 კილოგრამისა, ლესიჭინის სახელობის მეურნეობის მუშამ თამთაშა დგებაძემ — 101 კილოგრამი ნაცვლად 30 კილოგრამისა, ჯოლა-ნაკიანის ტუნგის საბჭოთა მეურნეობის მეჩაიემ — სვეტლანა ჩოკორაიამ — 101 კილოგრამი ნაცვლად 25 კილოგრამისა, ცუცა ზარანდიამ — 90 კილოგრამი „მწკვნე ოქრო", ნაცვლად 25 კილოგრამისა.

ჩვენი ღირსების საქმე

უკან მოვიტოვეთ მეცხრე ხუთწლედის დამამთავრებელი წლის ეკვატორი... მესამე დღეა, რაც თავისი ანგარიში დაიწყო წლის მეორე ნახევარმა, რომელსაც განსაკუთრებული იმედებით, ნათელი ოპტიმიზმით შეხვდა თვითეული ჩვენგანი. დიახ, სწორედ ხუთწლედის ფინიშამდე დარჩენილმა ამ ექვსმა თვემ, რომელიც დიდი პარტიული ფორუმისათვის — სკკპ XXV ყრილობისათვის მზადების უდიდესი პერიოდია, ბევრი რამ უნდა განსაზღვროს, შეაჯამოს და დააგვიანგვინოს.

როცა ხუთწლედის და მისი დამამთავრებელი წლის განვლილ თვეებზე და დღეებზე ვლაპარაკობთ, როცა ვითვლით, რომ წლის ბოლომდე თითქმის 180 დღე კიდევ დარჩა, ეს უბრალო არითმეტიკული ცნობისმოყვარეობა კი არ არის, არამედ ანგარიში იმისა, თუ როგორ ვიარეთ დღემდე, როგორ ვიშრომეთ, როგორ ვაშენეთ და შევქმენით, რა დავკელეთ საქმეს, რა გამოგვრჩა, რა ვერ გავიაზრეთ.

სწორედ ეს სულისკვეთება, სწორედ ჩვენი პარტიის XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად რესპუბლიკის მშრომელთა საქმიანობის ღრმა ანალიზი, მომავალი პარტიული ყრილობისათვის აქტიური მზადების ღონისძიებათა შემუშავება დაედო საფუძვლად ამ დღეებში გამართულ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XVII პლენუმს, რომელმაც განიხილა საკითხი „სოციალისტურ ვალდებულებათა შესრულების მიმდინარეობა და სკკპ XXV ყრილობის ღირსეულად შეხვედრისათვის საქართველოს პარტიულ ორგანიზაციათა ამოცანები".

ჩვენში ყარგ და ეფექტურ ტრადიციად იქცა — პარტიისა და ხალხის ცხოვრების ყოველი დიდმნიშვნელოვანი მოვლენა ახალი შრომითი მიღწევებით აღინიშნოთ. ასეა ამჟერადაც: როგორც მთელი ჩვენი ქვეყანა, საქართველოც პარტიის XXV ყრილობის აღსანიშნავ ვახტზე დადგა და ფართოდ აჩაღებს სოციალისტურ შეჯიბრებას მეცხრე ხუთწლედით დასახული კომუნისტური მშენებლობის ამოცანების მთლიანად და სასახელოდ შესრულებისათვის.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XVII პლენუმმა, რომელმაც მეტად ნათლად, დიდი ობიექტურობითა და პრინციპულობით შეაჯამა პარტიის XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად რესპუბლიკის მშრომელთა მიერ დღემდე გაწეული საქმიანობა, ჩვენი პარტიული ორგანიზაციების, ყველა მუშისა და კოლმეურნის, მთელი ინტელიგენციის ყურადღება იმას მიაქცია, რომ მომავალი დიდი პარტიული ფორუმისათვის ღირსეული შეხვედრა ხუთწლედისა და მისი დამამთავრებელი წლის როგორც გეგმების, ისე ნაკისრი ვალდებულებების წარმატებით შესრულებაა.

რით მივდივართ ყრილობაზე? როგორია ჩვენი ნაბიჯები, აკმაყოფილებს თუ არა ეს წინმსწრებლობა რესპუბლიკის წინაშე მდგომ მეტად პასუხსაგებ ამოცანებს? — აი უპირველესი კითხვები, რომლებიც ბუნებრივად უნდა დაებადოს დღეს ჩვენს საოლქო, საქალაქო, რაიონულ პარტიულ კომიტეტებს. პირველადს პარტიულ ორგანიზაციებს. თვითეულ შრომითს კოლექტივს, ყველა კომუნისტს, ყველა მშრომელს.

არავითარი მტკიცება არ სჭირდება იმას, რომ მეცხრე ხუთწლედის განვლილი პერიოდის მეორე ნახევარი ჩვენს რესპუბლიკაში ნამდვილი შემოქმედებითი საქმიანობით. მეტად ნაყოფიერი და შინაარსიანი შრომით აღინიშნა. ბევრი რამ ანაზღაურდა იმ დიდი დანაკლისიდან, რაც ხუთწლედის წინა ორმა წელმა მიმავიდეროთ დაუტოვა მომდევნო წლებს. სწორედ ამიტომ დაისახეს საქართველოს მშრომელებმა ამოცანა, რომ წლეულს იგეგმის გადამეტებით მრეწველობამ 200 მილიონი მანეთის პროდუქცია გამოუშვას. ხოლო სოფლის მეურნეობამ 120 მილიონი მანეთის პროდუქცია ოკამზადოს. დადებითი ძვრების, მთელი რიგი პოზიტიური შედეგების წყარო კი ის პრინციპული და გაბედული ღონისძიებებია, რასაც ამჟამად რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციები საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით ახორციელებენ წარსულში დაშვებულ სერიოზულ დამაბინძურებლობათა და დანაშაულობათა აღსაკვეთად, ყველგან და ყველაფერში სანიმუშო წესრიგის დასამყარებლად, პარტიული, სახელმწიფო და შრომის დისციპლინის განსამტკიცებლად.

შედეგები კი ჩვენი სახალხო მეურნეობისა და კულტურის ბევრ უბანზე დამამედებელია. ჯერ კიდევ 25 ივნისისათვის საქართველოს მრეწველობამ შეასრულა პროდუქციის რეალიზაციის ნახევარი წლის გეგმა თუმცა ცოდი ამიდებია, ჩვენი მეჩაიეები ძლევენ იმ ზღუდეს, რომელიც 320 ათასი ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთლის კრეფას იოვალისწინებს. გადაჭარბებით შესრულდა ხორცის დამზადების ნახევარი წლის გეგმა, ხოლო ამ ექვს თვეში სახელმწიფოს იმდენი რძე მიეყიდა, რაც გაცილებით მეტია მთელი წლისათვის გათვალისწინებულთან შედარებით.

მაგრამ ეს და სხვა თვალსაჩინო ციფრები დამშვიდების უფლებას როდი გვაძლევს. დაძაბული, მეტად გონივრული და როგორც იტყვიან, დღე და ღამ მუხლჩაუხრელი მუშაობა გვმართებს, რომ სკკპ XXIV ყრილობის დირექტივების დავალებები ყველა მაჩვენებლის მიხედვით შესრულდეს.

სერიოზული ჩამორჩენაა ელექტროენერგიის წარმოებაში, დაგეგმილ დონეს ვერ აღწევს ქიმიური მრეწველობის პროდუქციის წარმოება. სერიოზული ნაკლოვანებებია საშენ მასალათა, ხე-ტყისა და ხისდამამუშავებელ, მსუბუქ მრეწველობაში, დამაფიქრებელია მდგომარეობა სოფლის მეურნეობის ზოგიერთ ძირითად დარგში.

განსაკუთრებით მწვავედ დგას საკითხი პროდუქციის ხარისხის მხრივ. ზოგიერთი სამეურნეო და პარტიული ხელმძღვანელი ურეგდება იმას, რომ შრომთან კოლექტივებში დარღვეულია რიგმულობა, უფიდებიან არამწარმოებლურ ხარჯებს, უპასუხისგებლობას და უდისციპლინობას, უყირათობას, დანავსებულობასა და რუტინას.

სკკპ XXV ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობისათვის მთელ მზადებაში დიდი და შინაარსიანი ორგანიზაციული და პოლიტიკური მუშაობის ჩატარება მოუწევთ პარტიულ, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციებს. მაგრამ როცა მათს როლზე ვლაპარაკობთ, ყველგან მტკიცედ უნდა ეხმოდეთ ის ჭეშმარიტება, რომ პარტიული ორგანიზაციები და პოლიტიკური მუშაობა არ არსებობს დამოუკიდებლად, განყენებულად, უეკონომიკოდ!

სულ მალე რესპუბლიკის ყველა პირველადი პარტიული ორგანიზაციის, აგრეთვე შრომითი კოლექტივების კრებები განიხილავენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XVII პლენუმის შედეგებს. მთავარზე მთავარია, რომ ეს კრებები ყველგან წარმართოს დიდი ურთიერთშომხოვნელობის, შინაარსიანი სჯა-ბაასის ვითარებაში, გაწეული საქმიანობის ყოველმხრივი კრიტიკული ანალიზი საფუძვლად დაედოს მუშაობის გაუმჯობესების მიზნით კონკრეტულ ღონისძიებათა შემუშავებას.

პარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტების გადაუდებელი საქმეა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XVII პლენუმის გადაწყვეტილებები ღრმად გაიცნონ და განუმარტონ რესპუბლიკის თვითეულ მშრომელს, ამ მიზნით გამოიყენონ მასობრივ-პოლიტიკური და პროპაგანდისტული მუშაობის მთელი არსენალი. თავიანთ პლენუმებზე, ბიუროების სხდომებზე, პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებებზე სწორად და პრინციპულად შეაჯამონ წინასაყრილობო სოციალისტური შეჯიბრების მიმდინარეობა, გაბედულად ამხილონ და დროზე გამოასწორონ ნაკლოვანებები.

ახლა არ არის სხვა უფრო დიდი და ნათელი მიზანი: წარმატებით შევასრულოთ მეცხრე ხუთწლედის გეგმები და სოციალისტური ვალდებულებები — აი მშობლიური პარტიის XXV ყრილობისათვის ყველაზე კარგი საჩუქარი. აი ჩვენი რესპუბლიკისა და ჩვენი ხალხის ღირსების საქმე!

ღირსეულად შევხვდეთ სკკპ XXV ყრილობას!

დანინაურებული უბანი

სახელოვანი კოლექტივი შრომობს თბილისის კიროვის სახელობის ჩარხსაამშენებლო ქარხნის იმ საღარაგ უბანზე, რომელსაც ნოვატორი მანქანათმშენებელი ჯ. თოფურია ხელმძღვანელობს. უბნის კოლექტივმა ქარხანაში ერთ-ერთმა პირველმა გაარაღა შეჯიბრება სამუშაო ზონის გაფართოებისათვის, მუშაობაში დანერგა ინდივიდუალური შეჯიბრება, შემოიღო ვალდებულებათა შესრულების სისტემატური შემოწმების პრაქტიკა. ახლა უბნის ყველა წევრი უნივერსალი ოსტატია, სრულყოფილად ფლობს მომიჯნავე პროფესიებს, დიდი სიზუსტით ასრულებს ჩარხების დატალების საღარაგ მრავალრიცხოვან ოპერაციებს.

უბნის კოლექტივი საწარმოში ერთ-ერთი პირველი ჩაება სკკპ XXV ყრილობის ღირსეულად შეხვედრისათვის გამლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში და ვალდებულება იკისრა მეცხრე ხუთწლედის დამამთავრებელი წლის გეგმა ვადამდე, 7 ნოემბრისათვის შეასრულოს, გეგმის გადამეტებით გამოუშვას ხუთი ათასი მანეთის პროდუქცია.

სურათზე: უბნის კომპლექსური ბრიგადის წევრები (მარცხნიდან) მოწინავე ზეინკალი ვ. ნაცვლიშვილი, „თავის პროფესიაში" შეჯიბრების მრავალგზის გამარჯვებული, კომუნისტური შრომის დამკვრელი, მღარავი ა. ერნაკოვი, უბნის უფროსი ჯ. თოფურია, ზეინკალი გ. ბეალაკ. და უბნის ოსტატი დ. კუტანოვი.

ვ. მორგუნოვის ფოტო (საკინფორმის ფოტოქრონიკა).

ვინ როგორ ასრულებს სიტყვას

ხუთწლედის დამამთავრებელი წლის დავალებათა ვადამდე შესრულებისათვის გაშლილი შეჯიბრება თანდათან ფართოვდება. მოწინავე საწარმოო კოლექტივები გადაჭარბებით ასრულებენ სახელმწიფო გეგმებს და 200 მილიონი მანეთის ზეგეგმიური სამრეწველო პროდუქციის ანგარიშში ნაკისრ სოციალისტურ ვალდებულებებს.

მაგრამ ყველა კოლექტივი როდი იბრძვის მთელი შესაძლებლობით, სრულად როდი იყენებს რეზერვებს, არ აქტიურობს სკკპ XXV ყრილობის ღირსეულად შეხვედრისათვის გაშლილ შეჯიბრებაში.

მოწინავენი

ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხანა

თბილისი. („კომუნისტის" კორ. რ. ჭელიძე). შეჯიბრებას სკკპ XXV ყრილობის ღირსეულად შეხვედრისათვის თბილისის ჯ. სტალინის სახელობის ელექტროვაგონშემკეთებელ ქარხანაში ერთ-ერთმა პირველმა გაარაღა შეჯიბრება სამუშაო ზონის გაფართოებისათვის, მუშაობაში დანერგა ინდივიდუალური შეჯიბრება, შემოიღო ვალდებულებათა შესრულების სისტემატური შემოწმების პრაქტიკა. ახლა უბნის ყველა წევრი უნივერსალი ოსტატია, სრულყოფილად ფლობს მომიჯნავე პროფესიებს, დიდი სიზუსტით ასრულებს ჩარხების დატალების საღარაგ მრავალრიცხოვან ოპერაციებს.

უბნის კოლექტივი საწარმოში ერთ-ერთი პირველი ჩაება სკკპ XXV ყრილობის ღირსეულად შეხვედრისათვის გამლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში და ვალდებულება იკისრა მეცხრე ხუთწლედის დამამთავრებელი წლის გეგმა ვადამდე, 7 ნოემბრისათვის შეასრულოს, გეგმის გადამეტებით გამოუშვას ხუთი ათასი მანეთის პროდუქცია.

ელექტროენერგეტიკა

ელექტროენერგეტიკის სამინისტროს ენერგეტიკული ობიექტების ექსპლუატაციის ტრესტ „ენერგოსეტის" ელექტროენერგეტიკოსებმა ეს ექვსი თვე ენერგეტიკული ობიექტების ექსპლუატაციის ეკონომიკურ მაჩვენებლებზე ზრუნვით,

ცხოვრებით ნაკარნახევი პრობლემები

გონივრულად გავუძღვეთ მეურნეობას

ფართო გზა სპეციალიზაციასა და კონცენტრაციას

სოფლის მეურნეობის განვითარების თანამედროვე ამოცანები დღის წესრიგში აყენებს დღემდე შემორჩენილი საოფლო-სამეურნეო წარმოების მრავალდარგოვან, დაქსაქსულ-სტრუქტურიან სისტემაზე უარის თქმას. ამის საფუძველს უკვე გაძლევს ჩვენი სოფლის მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკურ ბაზის და წარმოების ინტენსიფიკაციის თანამედროვე დონე, რაც თავის მხრივ ხელსაყრელ პირობებს ქმნის შრომის წილადსამეურნეო განაწილების, მისი ნაყოფიერების ზრდისა და სპეციალიზაციის განხორციელებისათვის.

წარმოების ინტენსიფიკაციის შედეგზე მიუთითებს ის გარემოება, რომ ბოლნისის რაიონში წლითი-წლობით იზრდება კოლმეურნეობათა მიერ პროდუქციის წარმოების მოცულობა. თუ 1969 წელს კოლმეურნეობებმა აწარმოეს 3 მილიონ ნახევრამდე მანეთის პროდუქცია, 1974 წელს ამ 6 მილიონს მიაღწია, ვთქვათ, ორჯერ მოგებაც.

უკვე დადგა დრო თანდათან გადავიდეთ მსხვილ სპეციალიზებულ წარმოებაზე, რომლის დროსაც საშუალება გვექნება გამოვიყენოთ ინდუსტრიული მეთოდები, ფართოდ დავნერგოთ მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევები. სოფლის მეურნეობის განვითარების ამ მაგისტრალურ ხაზს, რომელიც XXIV ყრილობამ შეიმუშავა, მტკიცედ მიჰყვებიან ბოლნისის რაიონის კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები. რაიონში სპეციალიზაციის ძირითად ბაზად იქცა კარტოფილის წარმოების კონცენტრაცია, რაც ერთი მხრივ, გამოიხატებოდა იყო იმ გარემოებით, რომ ბოლნისის რაიონი რესპუბლიკაში საადრო კარტოფილის ძირითადი მწარმოებელია, ხოლო მეორე მხრივ იმით, რომ 2-3 წლის წინ ამ კულტურას რაიონი დიდი მოთხოვნილების მიუხედავად, 5 ათას ტონაზე მეტს არ აწარმოებდა. სამაგიეროდ, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მოჰყავდათ 12 სხვადასხვა კულტურა, რომლებიც განაწილებული იყო რაიონის თითქმის ყველა მეურნეობაში. მრავალი კულტურის გამოდევნება იწვევდა საშუალო ძალის დაჭარბებას, ართულებდა მექანიზაციის დანერგვას და მსხვილი სპეციალიზებული მეურნეობისათვის დამახასიათებელი სიკეთის გამოყენების შესაძლებლობას.

პარტიის რაიკომმა სპეციალისტების მონაწილეობით გააანალიზა წლების მანძილზე კარტოფილის წარმოების მდგომარეობა და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ კარტოფილის წარმოების გადიდების ძირითადი ფაქტორია ნახვალი მასშტაბით ამ კულტურის წარმოების კონცენტრაცია და მეურნეობათა სპეციალიზაცია. ეს ღონისძიება პირველად განხორციელდა არაბლოს მეკარტოფილეობა-მერძევეობის საბჭოთა მეურნეობაში, სადაც 300 ჰექტარიდან კარტოფილის ნათესები გადიდდა 600 ჰექტარამდე. მეურნეობაში (დირექტორი მ. ვადაჭკორია, პარტორგანიზაციის მდივანი მ. ოსმანოვი) მოსავლიანობამ მოლოდინს ვადააჭარბა. აქ კარტოფილის მოსავლიანობა ჰექტარზე ამ კოლმეურნეობათა მოსავლიანობასთან შედარებით, რომელთა ბაზაზეც ეს მეურნეობა შეიქმნა, 35 პროცენტით აღმაღლდა. თუ 1970 წელს ჰექტარზე მოღებული 87 ცენტნერის თვითღირებულება 14 მანეთი და 35 კაპიკი იყო, შარშან ჰექტარზე მოღებული 118 ცენტნერი საგრანობლად უფრო იაფი დაჯდა. ეს წარმატებები პირველ ყოვლისა განაპირობა ნათესების კონცენტრაციამ და მეურნეობის სპეციალიზაციამ.

1973 წელს მეურნეობამ ააშენა კარტოფილის საცავი 1.000 ტონისათვის (500 ტონის ტევადობის მაციერით და 200 ტონის ტევადობის იაროვიზატორით). შარშან მეურნეობაში დაინერგა სადასტეტჩერო სასასხური, რითაც გაუმჯობესდა ინფორმაციის მდგომარეობა და ოპერატიული მართვის ორგანიზაცია. სპეციალიზაციის განხორციელებას უნდა მიეწეროს ის ფაქტი, რომ შარშან არაბლოს მეურნეობამ. მილიონ მანეთზე მეტი მოგება მიიღო.

არაბლოელებს წარმატებაში დიდად უყრაობს ხელს სოციალისტური შეჯიბრების კარგი ორგანიზაცია, რომელსაც სათავეში უდგას პარტიული ორგანიზაცია. აქ თვითეული ბრიგადა, რგოლი, მუშა ერთმანეთს ეჯიბრება აღებული გადიდებული სოციალისტური ვალდებულებების გადაჭარბებით შესრულებაში. შეჯიბრების მსვლელობას ოპერატიული ინფორმაციის სისტემა აწვდის ინფორმაციას. ინფორმაციის ბაზაზე ყოველ ხუთ დღეში ერთხელ ტარდება ოპერატიული თათბირი, სადაც ანალიზდება ინფორმაციის

საუბარი ამერიკელ სენატორებთან

30 ივნისს სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოში გაიმართა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატების საუბარი ამერიკის შეერთებული შტატების სენატის დელეგაციის წევრებთან, რომელსაც მეთაურობენ სენატორები ჰუბერტ ჰემფრი და ჰიუ სკოტი.

შეხვედრა გახსნა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარემ ვ. პ. რუბენმა.

ჰუბერტ ჰემფრიმ თავის გამოსვლაში აღნიშნა, რომ შეერთებული შტატებსა და საბჭოთა კავშირს განსაკუთრებული პასუხისმგებლობა აკისრიათ ხალხთა მშვიდობისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის პირობების შექმნისათვის. ჩვენი საერთო ამოცანაა კიდევ უფრო შევამციროთ დაძაბულობა, ხელი შევუწყოთ უფრო სრულ ურთიერთგაგებას.

ჩვენი ორი ქვეყნის ყველაზე მნიშვნელოვანი ამოცანაა, თქვა ჰ. ჰემფრიმ, მივაღწიოთ შეთანხმებას ატომურ იარაღზე კონტროლის დაწესების შესახებ და, მინდა იმედი ვიქონიო, მისი არსენალების შემცირების შესახებ.

ჰ. ჰემფრიმ აღნიშნა კოსმოსში მოგავალი ერთობლივი საბჭოთა კავშირ-ამერიკის ფრენის დიდი მნიშვნელობა.

შემდეგ გამოვიდა სენატორი ჰიუ სკოტი. ამჟამად, თქვა მან, ორივე ჩვენი ქვეყნის ხელმძღვანელებს შეეძლებოთ აქვთ, რომ ურთიერთობის ნორმალიზაციას დიდი საარსებო მნიშვნელობა აქვს ჩვენი ხალხებისა და მთელი მსოფლიოსათვის. მსოფლიოს ორ ყველაზე ძლიერ სახელმწიფოს შორის კვლავ არსებობს უდიდესი განსხვავებანი კულტურას, გეოგრაფიასა და პოლიტიკური ფილოსოფიის დარგში. მაგრამ ორივე მხარე სულ უფრო მიდის იმ შეხვედრამდე, რომ კარდინალური პრობლემები, რომლებიც დღეს დგას კაცობრიობის წინაშე, მარტო ერთეული არ არის: ამერიკელებსა და საბჭოთა ხალხს საერთო მიზნები აქვთ მშვიდობის დაცვის საქმეში.

შეხვედრაზე გამოვიდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს საგარეო საქმეთა კომისიის თავმჯდომარე მ. ა. სუსლოვი.

ახლანდელი თქვენი საპასუხო ვიზიტი, თქვა მან, შეიძლება განვიხილოთ როგორც ერთ-ერთი კანონზომიერი შედეგი საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობის ატმოსფეროს საერო გაჯანსაღებისა, რომელშიც ამ უკანასკნელ წლებში დიდმნიშვნელოვანი პოზიტიური ცვლილებები მოხდა. როგორც ჩვენ წარმოგიდგენია, ეს ცვლილებები არა მარტო მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია საერთაშორისო დაძაბულობის შენელების საერთო პროცესისა, არამედ მათ თავის მხრივ კეთილნაყოფიერი ზეგავლენა მოახდინეს. და ახლანდ მთელ საერთაშორისო სიტუაციაზე, ამცირებენ უწინარეს ყოვლისა მსოფლიო თერმობირთვული ომის საფრთხეს და ხელს უწყობენ სხვადასხვა საზოგადოებრივი წყობილების სახელმწიფოთა ურთიერთობაში მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპების დამკვიდრებას.

ახლა მსოფლიო შედის პასუხსაგებ პერიოდში, როცა პირველ პლანზე დგას ამოცანა, რომ ყოველდღიურ პრაქტიკულ საქმეებად ვაქციოთ მშვიდობიანი თანაარსებობისა და ურთიერთსასარგებლო თანამშრომლობის პრინციპები. მაგრამ ამავე დროს ეს პროცესი შეუფერხებლად, დაუბრკოლებლად როდი მიმდინარეობს. იძულებული ვარო გადავლახოთ დაძაბულობის შენელების მტრების გაფანტრეული წინააღმდეგობა, კერძოდ იმათი, რომლებიც სიტყვით ემხრობიან მშვიდობის ლოზუნგს, საქმით კი ცდილობენ აღადგინონ „ცივი ომის“ პოლიტიკა.

არ შემიძლია არ აღვნიშნო, რომ ჩვენში, საბჭოთა კავშირში, განაგრძო მ. ა. სუსლოვმა, იქნებენ შთაბეჭდილება, რომ ამ ბოლო დროს ამერიკის შეერთებულ შტატებში გააქტიურდნენ დაძაბულობის შენელების მოწინააღმდეგენი. ისინი ცდილობენ დაამტკიცონ, რომ დაძაბულობის შენელება ხელსაყრელია მხოლოდ საბჭოთა კავშირისათვის, რომ ამერიკის შეერთებული შტატებისა და დასავლეთის სხვა ქვეყნებისათვის მას არავითარი სარგებლობა არ მოაქვს. შეუძლებელია გაკვირვება არ გამოიწვიოს მსჯელობამ იმის შესახებ, თუ ვისთვის სასარგებლოა და ვისთვის საზიანო ცხოვრობდეს სულ უფრო მტკიცე მშვიდობისა და ომის საფრთხის შენელების პირობებში.

ზოგჯერ გვეუბნებიან, დაძაბულობის შენელების სარგებლობის საკითხად მიჩნევის ცდენი წმინდა შინაპოლიტიკური, ტაქტიკური მოსაზრებებით მიმართავენო, მაგრამ, როგორც ამას წინათ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ლ. ი. ბრეჟნევმა აღნიშნა ამომრჩევლების წინაშე წარმოთქმულ სიტყვაში, გულწრფელად რომ ვთქვათ, ჩვენი ღრმა რწმენით მშვიდობის განმტკიცება იმდენად სერიოზული საქმეა ადამიანთა ახლანდელი და მომავალი თაობებისათვის, რომ რაღაც კონიუნქტურულ მოსაზრებებსა და ვარაუდებს ვერ დავუქვემდებარებთ მას.

არა გვგონია საეჭვო იყოს, რომ როგორც ჩვენი ხალხების, ისე მთელი კაცობრიობის ბედის სანგრძლივი ინტერესების თვალსაზრისით, პრაქტიკულად უპირველესი, შეიძლება ითქვას, ცენტრალური ადგილიც კი საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობების განვითარებაში უკავია ღონისძიებებს, რომლებმაც უდა ურუნველყონ ატომური ომის საფრთხის საიმედო აღკვეთა.

შემდეგ მ. ა. სუსლოვი შეეხო სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების შეთანხმებებსა და მორიგებებს სტრატეგიული შეიარაღების შეზღუდვის, ატომური ომის საფრთხის თავიდან აცილების საკითხებში. ჩვენ, თქვა მან, დიდად ვაფასებთ ვლადივოსტოკის შეხვედრის დროს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს ლ. ი. ბრეჟნევსა და ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტს ჯ. ფორდს შორის მიღწეულ მორიგებას სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების შეზღუდვის შესახებ ახალი გრძელვადიანი შეთანხმების თაობაზე.

დასავლეთის ზოგიერთ სახელმწიფოში, მათ შორის ამერიკის შეერთებულ შტატებში, აქტიურად აღიდგინენ სამხედრო ბიუჯეტების, ხაზი გაუსვა მ. ა. სუსლოვმა, საბჭოთა კავშირს მიაჩნია, რომ საქმე უნდა მიდიოდეს სხვა მიმართულებით. ჩვენ ვემხრობით სამხედრო ბიუჯეტების შემცირებას და აქედან მოგებულ სხვა სახელმწიფოებს.

ახლა უკვე დასასრულს უახლოვდება ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის მეორე ეტაპი, რომელიც ჟენევაში მიმდინარეობს, განაგრძო მ. ა. სუსლოვმა. მიღწეულია მნიშვნელოვანი პროგრესი. ეჭვი არ არის, რომ ამას ერთგვარად შეუწყო ხელი საბჭოთა კავშირ-ამერიკის ერთობლივ დოკუმენტებში ფიქსირებულ შესაბამის მორიგებათა რეალიზაციამ. მაგრამ თათბირის მუშაობის წარმატებით დამთავრებას ჯერ კიდევ ხელს უშლის დასავლეთ ევროპის ზოგიერთი ქვეყნის პოზიცია მთელ რიგ საკითხებში. ჩვენი აზრით, ამერიკის შეერთებულ შტატებს შეუძლია აქტიურად შეიყოს ხელი ამ თათბირის უკანასკნელ ფაზაზე უსწრაფესად გადასვლას. დარწმუნებული ვარო, რომ შეიძლება გადაიდგას ახალი დიდი ნაბიჯები ევროპაში და მთელ პლანეტაზე უფრო სტაბილური მშვიდობისაკენ, ამას სამსახურს გაუწევს სრულიად ევროპის უმაღლესი დონის თათბირის წარმატებით დამთავრება უახლოეს მომავალში.

შეეხო რა ახლო აღმოსავლეთის მდგომარეობას, მ. ა. სუსლოვმა აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების თანხმდებული ბაჯარი მიმართულებით უზრუნველყოფდა ამ რაიონის პრობლემის სწრაფად მოწესრიგებას და ჩაანერგდა ომის საშიშ კერას.

შემდეგ იგი შეეხო სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების სავაჭრო-ეკონომიური ურთიერთობა არ უნდა უკავშირდებოდეს საკითხებს, რომლებსაც არავითარი დამოკიდებულება არა აქვთ ვაჭრობასთან და საბჭოთა სახელმწიფოს ისე როგორც საერთოდ ყოველი სახელმწიფოს საშინაო კომპეტენციას განეკუთვნებიან. ჩვენ არ შეგვიძლია არ ვხედავდეთ, თქვა მ. ა. სუსლოვმა, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებთან თანასწორუფლებიან, არადისკრიმინაციულ საფუძველზე სავაჭრო-ეკონომიური ურთიერთობის განვითარება საბჭოთა კავშირ-ამერიკის პოლიტიკური ურთიერთობის გაუმჯობესების უმეტესად დიდმნიშვნელოვანი ელემენტია.

საუბარში მონაწილეობდნენ: საბჭოთა კავშირის მხრივ — სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს საგარეო საქმეთა კომისიის თავმჯდომარე ბ. ნ. პონომარიოვი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს თავმჯდომარე ა. ჰ. შიტიკოვი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მთელი რიგი დეპუტატები; ამერიკის მხრივ — დელეგაციის წევრები.

1 ივლისს კრემლში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატებმა განაგრძეს საუბარი ამერიკის შეერთებული შტატების სენატის დელეგაციის წევრებთან.

2 ივლისს კრემლში გაიმართა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატების დასკვნითი საუბარი ამერიკის შეერთებული შტატების სენატის დელეგაციის წევრებთან.

ამ საუბრის დროს მხარეებმა ერთმანეთს გაუზიარეს აზრი სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის კულტურული გაცვლის შემდგომი განვითარების შესახებ. აღინიშნა, რომ ეს კონტაქტები, განსაკუთრებით განათლების, სპორტისა და ხელოვნების დარგში, ამ ბოლო წლებში უფრო სისტემატური და ინტენსიური გახდა, რაც საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობაში დაძაბულობის საერთო შენელების შედეგია.

შეხვედრის მონაწილეებმა განიხილეს აგრეთვე გარემოს დაცვის დარგში ორი ქვეყნის თანამშრომლობის საკითხები და სხვა პრობლემები, რომლებიც ორივე ქვეყანას აინტერესებს. (საკდესი).

ტელეტაიპის ლენტიდან...

ვოკლედ

პარიზი

საბინაო კრიზისი ერთ-ერთ ყველაზე მწვავე პრობლემად რჩება საფრანგეთში. პარიზის რაიონის ადმინისტრაციული საბჭოს აქ გამოქვეყნებული მონაცემების თანახმად დედაქალაქის ბინების 30 პროცენტი გადამეტებულად არის დახანძრეული, ხოლო 200.000 ბინაში მოსახლეობით გადატვირთვამ კრიზისულ დონეს მიაღწია.

ბონი

კორეულ-ამერიკული ძალები ისწრაფვიან ქვეყნის განვითარება წარმართონ სოციალიზმის გზით, განაცხადეს გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში მყოფი პორტუგალიის დელეგაციის წევრებმა. ისინი გამოვიდნენ ესენში გამართულ მიტინგზე, რომელიც მოაწყო დასავლეთ გერმანიის მშვიდობისათვის, თანამშრომლობისა და შეიარაღების შემცირებისათვის მებრძოლმა კომიტეტებმა.

ვაშინგტონი

ფლეულს ზაფხულში ამერიკაში მოსალოდნელია ბენზინის მორიგი გაძვირება. ეს განაცხადა ენერგეტიკის ფედერალური სამმართველოს დირექტორის მოადგილემ ჯონ ჰილმა. მან განცხადება გააკეთა რამდენიმე საათის შემდეგ, რაც ამერიკის შეერთებული შტატების ნავთობის ოთხმა დიდმა კომპანიამ — „შელ ოილმა“, „ტექსაკომ“, „სტანდარდ ო�მ ინდიანამ“ და „ატლანტიკ რიჩფილდმა“ — გამოაცხადეს საწვავის გაძვირება. მომდინარე წლის უკვე მესამედ ძვირდება ბენზინი.

ვოდევილებით საინგილოში

ახალ მაყურებელთან შეხვედრა, ახალი შთაბეჭდილებები, ახალი სიყვარული, ახალი ურთიერთობა იმის სურვილია, რომ მეტი და უკეთესი გააკეთო, რათა სიბარული მოუტანო ხალხს. აი ამ გრძნობით და უაღრესი პასუხისმგებლობით გაუდექით გზას აზერბაიჯანის სსრ ერთ-ერთი ულამაზესი კუთხისაკენ — კახის რაიონისკენ მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის მსახიობთა ერთი ჯგუფი „ძველი ვოდევილებით“.

დიდი პატივით დაგვხვდა ადგილობრივი რაიონული ხელმძღვანელობა. პირველი წარმოდგენა კახის კულტურის სახლში გვქონდა.

საღამოს, სპექტაკლის დაწყებამდე კარგასხით ადრე, კულტურის სახლისაკენ გავემართეთ. დავთვალიერეთ ცენტრი. ენახეთ კახის ქართული ათწლიანი სკოლა, იქვე ძველი ქრისტიანული ხუროთმოძღვრული ძეგლი — ეკლესია, რომელიც, სამწუხაროდ დაცული არ არის, დღეს იგი საწყობად უქცევიათ.

ეკლესიის და კლუბის მახლობლად სოფლის სასაფლაოა. ჩვენი ყურადღება მიიპყრო სუფთად მოვლილმა საფლავებმა. კახის მოსახლეობა დიდი პატივისცემით ეპყრობა ადგილობრივ ადამიანებს, ამ ადგილებიდან არ დაძრულა. დაუსრულებელი ტაშის საპასუხოდ ჩვენს გულისხმიერ მაყურებელს დიდი მადლობა გადავუხადეთ იმ სითბოსა და სიხალათუთისათვის, რაც ჩვენ მოგვგებია.

მეორე დღეს სოფელი ალიბეგლო გვეოდა.

ალიბეგლო კახიდან 16 კილომეტრით არის დაშორებული. ქართველი მოსახლეობაა, მისდევენ მევენახეობას, მეთამბაქოეობას, მეპალიტ-მებოსტნეობას. სოფელს თავისი კულტურის კლუბი აქვს. კლუბთან არის მდიდარი ბიბლიოთეკა, რომლითაც სარგებლობს ალიბეგლოს მოსახლეობა. სოფელს იმითაც შეუძლია თავი მოიწონოს, რომ პატარა ალიბეგლოს 200 შინმოუსვლელი „ჰყავს“.

ეს სოფელიც ძალზე სტუმართმოყვარულად დაგვიხვდა. შევხვდით ადგილობრივ მოსახლეობას, ვეესაუბრეთ, და კახის არ იყოს, აქაც მორიდებით გვისაყვედურეს, იმვიათზე-იმვიათი სტუმრები ბრძანდებითო. გულუბრაძე, შოთა ქოჩორაძე, დავით ქუთათელაძე, ნინო ჩხეიძე, მსახიობები გულიკო ემხვარი, ნანა მამალაძე, გიორგი ჭეიშვილი და თქვენი მონა-მორჩილი ვასო გოძიაშვილი.

ყველა ძალიან ღელავდა სპექტაკლის დაწყების წინ, დიდ პასუხისმგებლობას ვგრძნობდით. დარბაზი სავსე იყო, ნემსის ჩასაგდებ ადგილს ვერ იპოვნიდით. იყო გულწრფელი შეძახილები მოწონების ნიშნად და მჭუხარე ტაში.

სპექტაკლის შემდეგ მაყურებელი კვნი არიან, რა იქნება, თბილისიდან უფრო ხშირად გვესტუმროთ და გაგიხართო.

ნართლაც რა იქნება, რომ საქართველოს ფილარმონიამ, თბილისის თეატრებმა წელიწადში რამდენჯერმე გამართონ კონცერტები და სპექტაკლები საინგილოში, წარმოუდგინონ ჩვენი ხელოვნება. ეს ხომ უდიდესი ბედნიერებაა მათთვის.

ალიბეგლოს კულტურის სასოფლო კლუბში სულ ორასი კაცის ადგილია. ნეტა გენახათ, რა დღეში იყო გარეთ დარჩენილი მაყურებელი, როგორ იდგნენ ფანჯრებთან რიგრიგობით, ოღონდ ერთხელ შეეღოთ თვალი ჩვენთვის სცენაზე.

სპექტაკლი რომ დამთავრდა, შინ წასვლა არავის უფიქრია. დაუსრულებელი ტაში სოფლსაბჭოს თავმჯდომარის მადლობის სიტყვამ ჩაანაცვლა. მერე მეც მივმართე დარბაზს და კლუბს გადავეცით სპექტაკლის მონაწილე მსახიობთა ავტოგრაფებიანი მარჯანიშვილის თეატრის ბუკლეტები, ქართული წიგნები და კოტე მარჯანიშვილის დიდი, პორტრეტი.

უსაზღვრო იყო ალიბეგლოელთა სიხარული, ამ მშრომელი, გმირული წესიერი ადამიანების სიხარული.

აღარ გავსხოვდა დაღლა, ადრე გავსხოვდა სულისშემუსვრელი სიცივე და უკან დასაბრუნებელი გზა, ეს იყო ჩვენთვის დიდი ბედნიერება, რომ მათ ერთი საღამოს სიხარული მოვუტანეთ.

ვასო გოძიაშვილი,
სსრკ სახალხო არტისტი, სახელმწიფო და რუსთაველის პრემიების ლაურეატი.

* * *

სურათზე: ვასო გოძიაშვილი სპექტაკლ „ძველი ვოდევილებიდან“ წარმოდგენის შემდეგ საჩუქრებს გადასცემს სოფელ ალიბეგლოს მშრომელებს.

ნ. კუჭუკიძის ფოტო.

ბუნება და ადამიანი

მუზეუმი მიწის ქვეშ

ეს იყო 1961 წლის 14 ივლისს. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვახუშტის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტის სპელეოლოგიური ექსპედიცია (ხელმძღვანელი დოც. შ. ყიფიანი) ახალი ათონის მიდამოებში ძანამდე უცნობი კარსტული უფსკრულის შესწავლას შეუდგა. ამ უფსკრულის ადგილობრივი მოსახლეობა უსსოვარი დროიდან „უძირო ორმოს“ სახელწოდებით იცნობს. ლეგენდარული „უძირო ორმო“ საუკუნეების განმავლობაში მალავდა თავის საიდუმლოებას. იმ დროისათვის ორმა უფსკრულებში ჩაშვების პრაქტიკა ჩვენში არ არსებობდა, არ გაგვაჩნდა სათანადო საჭიროული და გამოცდილება, და მაინც, თითქმის შიშველი ხელებით შევეფეთ მიწისქვეშეთს.

საზარლად პირდაბჩენილ უფსკრულში ერთიმეორის მიყოლებით ეშვებიან ა. ოქროჯანაშვილი, ბ. გეორგიევა, გ. სმირი, ამ სტრიქონების ავტორი. ძნელია ამ სახიფათო ჩაშვების წვრილმანი ამბების აღწერა. ჭეშბისა და შატბების სისტემა რომ დაიპყრო, მოიეზიშე ოთხუელი ზედაპირიდან 139 მეტრის სიღრმეზე ვრცელ მიწისქვეშა სიცარიელეში შეიჭრა. დიახ, ჩვენსაგან აქ ადამიანის ფეხი არ დადგმულა!

გეზი ჩრდილოეთისაკენ ავიღეთ. ფრთხილად მიგებიჯვებდით უწყრომასწორო და სველ ფსკერზე, ქაოტურად მიმოფანტულ სახლისოდენა ლოდებში. ეს ხომ უცნობ სამყაროში გადადგმული პირველი ნაბიჯები იყო. ჩვენს წინ სრულიად ახალი და ახალი პეიზაჟები იშლებოდა. ცალკეული დარბაზები ზღაპრულად იყო მორთული ნაირ-ნაირი ფორმისა და სიდიდის თაბაშირისა და კალციტის სამკაულებით — სტალაქტიტებით, სტალაგმიტებით, სვეტებით. ისინი ჯადოსნურად ელვარებდნენ ხელოვნურ შუქზე. შემდეგში, პირველი აღმოჩენათა უფლებით, ამ დარბაზებს სახელები დავარქვით. დარბაზს, რომელიც აგრძელებს და ამთავრებს მღვიმის ვერტიკალურ ნაწილს „ანგელოზთა“ ვუწოდეთ. ჩვენმა რაზმმა სწორედ ამ დარბაზიდან დაიწყო მიწისქვეშეთის გაცნობა. დღესაც ექსკურსანტები და ტურისტები აქედანვე დაიწყებენ მღვიმის დათვალიერებას. სხვა დარბაზებს დავარქვით: „ქართველ სპელეოლოგებისა“, „თიბისა“, „ტაძარი“, „სოხუმი“, „ოვერია“, „ჰელიტიტები“, „თბილისი“, ცალკე გამოიყო „კანიონი“.

ამგვარად, „უძირო ორმოს“ პირველ იერიშს შესანიშნავი სპელეოლოგიური აღმოჩენა მოჰყვა.

ახალი ათონის მღვიმური სისტემის ათვისებასა და შესწავლაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს: ბ. გოფმა, ვ. ჯიშკარიანმა, გ. გიგინეიშვილმა, ო. ერქომაიშვილმა, კ. წიქარიშვილმა, ლ. ხიმონიშვილმა, ლ. ქალდანმა და სხვებმა.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ მოიწონა გეოგრაფიის ინსტიტუტის რეკომენდაციები ახალი ათონის მღვიმის ტურისტული მიზნებისათვის გამოყენების თაობაზე, მშენებლობის სახელმწიფო კომიტეტის საპროექტო ინსტიტუტში („საქჰალაქმშენსახპროექტში“) დაამუშავეს კეთილმოწყობის პროექტი. მისი ავტორები არიან: რ. რიჟინაშვილი, თ. მარკოზაშვილი, ზ. კოპალაძე, ი. ავდალოვი. მთელი კომპლექსის მშენებლობა, როგორც შედგენილობაზე, ისე მიწისქვეშ, ლეგინის ორდენოსან „თბილისერგაზმშენის“ სამმართველოს № 9 სამშენებლო რაზმმა განახორციელა (უფროსი გ. ჯაყული, მთავარი ინჟინერი გ. ცომინტია, მთავარი მარკშეიდერი ე. მამულია).

მღვიმის ბუნებრივი ჩასასვლელი ჭეშბისა და შახტების რთული სისტემა მნახველთა მასობრივი ნაკადის გადასაყვანად არ გამოდგებოდა. ამიტომაც ივერიის მთის გულში გაიჭრა 1175 მეტრის სიგრძის სატრანსპორტო გვირაბი. გვირაბის შესასვლელთან აიგო ადმინისტრაციული კორპუსის შენობა. აქ ახალი ათონის მღვიმის დირექციამ დაიდო ბინა. ამ შენობის გასვლით ნნახველები შედიან მარმარილოთი მოპირკეთებულ ვრცელ ვესტიბიულში, სადაც მათ მიწისქვეშ სამოგზაუროდ მატარებელი ელოდებათ. ყოველ რეისზე მღვიმეში ერთდროულად შევა 90 ექსკურსანტი. ძირითადი გვირაბიდან საგანგებოდ გაჭრილი ტალანით მნახველები შედიან მღვიმის ყველაზე სამშვენიერი მდებარე დარბაზში — „აფხაზეთში“. ექსკურსია მთავრდება „თბილისში“, საიდანაც მნახველები ბრუნდებიან მთავარ გვირაბში, შემდეგ კი მატარებლით, — დღის სინათლეზე.

მღვიმეში გაყვანილია ბეტონის ბილიკები, გზადაგზა მოწყობილია სამაჯილი მოედნები, გაკეთდა კიბეები, ხიდები... მაგალითად, „ქართველი სპელეოლოგების“ დარბაზის“ ერთ მონაკვეთზე — თიბის ქვაბულში ბეტონის ხიმინჯებზე გადებული ხიდ-ესტაკადის სიგრძე 120 მეტრია. მან ერთმანეთს დაუკავშირა მღვიმური სისტემის აქტიური და „მკვდარი“ მონაკვეთები. საკანგებო ყურადღება დაეთმო ცალკეული დარბაზებისა თუ დერეფნების, მღვიმეთა სამკაულების — სტალაქტიტ-სტალაგმიტების გასათუმბას. ამასთან ერთად გათვალისწინებულია ცალკეული დარბაზების „გახმოვანებაც“.

ყოველ დარბაზს განუმეორებელი სილამაზე აქვს. „ქართველ სპელეოლოგთა დარბაზი“ მნახველებს აოცებს გიგანტურობით — მისი სიგრძე 260 მეტრია, სიგანე — 25-75, ხოლო სიმაღლე — 20-50 მეტრი.



მეცნიერებმა რიგის ქიმიზაციის სპეციალურ ბ
კონსტრუქტორო ბიუროს თანამშრომლებთან ერ
თად.

პრეპარატ „ნორას“ ხსნარში ვარდი არ ჭკნება
კვირას, ფლოქსი და ხმალა — 8 კვირას, ხოლ
მიხაკი — დაახლოებით ერთ თვეს. პრეპარატ
ყვავილების ბუნებრივ შეფერილობასაც აძლიერ
ებს.

ი. ბალოდისი. გაზ. „ტრუდ“

2 ივლისი

მეცნიერების სიახლენი

ახალი გალაქტიკა

ნიუ-იორკი, (საკდესი). აღმოჩენილია გალაქტიკა, რომელიც თავისი ზომით 5-10-ჯერ აღემატება იჩინის ნახტომს. იგი ადამიანის თვალისთვის ღრეჩოდ აფერეოს სამთაროს ნაწილში აღმოაჩინა და ფოტოფირზე გადაიღო ამერიკელ მეცნიერმა, კალიფორნიის უნივერსიტეტის პროფესორმა პაირონ სპინრადმა.

ეს გალაქტიკა იმდენად შორსაა ჩვენი პლანეტიდან (რვა მილიარდი სინათლის წელი), რომ მისი სხივი, რომელმაც იგი ფოტოფირზე აღბეჭდა. ბევრად ადრე წამოვიდა ჩვენკენ, ვიდრე დედამიწა წარმოიშობოდა. გალაქტიკა, რომელიც რეგისტრირებულია 3 ც. 123 ნომრით (ლათინური ც.), მილიარდობით ვარსკვლავისა და პლანეტისაგან შედგება.

